



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი

თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი საქართველოში, დაარსდა თბილისში 1927 დ. არსენიშვილის ინიციატივით როგორც საქართვე. სათეატრო მუზეუმი. თავდაპირველად ექვემდებარებოდა საქართვე. განსახკომს, შემდეგ – კულტ. სამინისტროს, 1962–64 – თეატრ. საზ-ბას. მუზეუმის ფონდების შევსება-გამდიდრება უნიკალური მასალებით და მუზეუმის პროფილის გაფართოება დაკავშირებულია გ. ბუხნიკაშვილის სახელთან. 1974-იდან მუზეუმში მოხდა რეორგანიზაცია და ეწოდა საქართვე. თეატრის, მუს. და კინოს სახელმწ. მუზეუმი, ხოლო 2005-იდან – თ., მ., კ. და ქ. ს. მ., არის საჯარო სამართლის იურიდ. პირი საქართვე. კულტ. და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

2000 მუზეუმში ფუნქციონირებდა 3 სამეცნ. განყ-ბა: თეატრის., სამუსიკო და კინოსი; საფონდო სექტორები: ხელნაწერების, დეკორაციულ-სახვითი, ფოტონეგატივების, სააფიშო, გრამფირფიტებისა და მაგნიტოფირების, საგნობრივ-მემორიალური, აუდიო-ვიდეოჩანაწერებისა. ხოლო 2013-თვის იყო შემდეგი ფონდები: ქანდაკების, სააფიშო, ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა, ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტების, მემორიალურ და ხელოვნების ნიმუშთა, ფოტო და ფოტონეგატივების, სახვითი ხელოვნების, მუსიკის.



თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. საგამოფენო დარბაზი.

ფონდსაცავში სულ იყო 245293 ექსპონატი, მ. შ. ძვ. და თანამედროვე ქართ. თეატრის, კინოს, მუს. და ქორეოგრ. ისტორიის შ. დადიანის, დ. არაყიშვილის, ვ. აბაშიძის, ლ. მესხიშვილის, მ. ბალანჩივაძის, მ. საფაროვა-აბაშიძის, ნ. გაბუნias, მ. ქორელის, კ. ფოცხვერაშვილის, მ. ჭიაურელის, ვ. ანჯაფარიძის, ს. გაქარიადის და სხვატა პირადი არქივები; ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ე. ახვლედიანის, ვ. სიდამონერისთავის, ს. ვირსალაძის და სხვატა ნამუშევრები; თეატრის, მუსიკისა და კინოს მოღვაწეთა მემორიალური ნივთები, ისტ. დოკუმენტები; უმდიდრესი ფოტო, ფონო, აუდიო, ვიდეომასალა.



თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. საგამოფენო დარბაზი.

მუზეუმში პირველი გამოფენა მოეწყო 1938 დ. ჯანელიძის ინიციატივით. წარმოდგენილი იყო მუზეუმში დაცული ქართ. სანახაობითი კულტურის ამსახველი მასალა. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმს არ გააჩნდა საგამოფენო დარბაზები, ექსპონატები გაჰქონდათ სხვადასხვა ორგანიზაციებში, იყო მოძრავი გამოფენებიც. XX ს. 40-იან წლებში მოეწყო გამოფენები თემებზე: „ქართული თეატრის 60 წელი“ (1940), „ქუთაისის თეატრის 60 წლისთავი“ (1940), „მაკო საფაროვა-აბაშიძის ცხოვრება და შემოქმედება“ (1940), „შექპირი ქართულ სცენაზე“ (1941), „საბჭოთა თეატრის 20 წელი“ (1941), „კოტე მესხის ცხოვრება და შემოქმედება“ (1941); ზ. ფალიაშვილის (1947), კ. მარჯანიშვილის (1947), ვ. გუნias, ა. ყაზბეგის (1947) შემოქმედება; 1950-55 კი წარმოდგენილი იყო გ. ერისთავის, ზ. ფალიაშვილის, ლ. მესხიშვილის, შ. დადიანის, მ. ბალანჩივაძის, ვ. აბაშიძის, ა.

ხორავას, ა. ფალავას, ი. გამრეკელის, ლ. ტოლსტოის, ნ. გოგოლის ცხოვრება და შემოქმედება, პერიოდულად საიუბილეო გამოფენებს ენაცვლებოდა თემატური გამოფენებიც: „სამამულო ომის თემა ქართულ თეატრსა და კინოხელოვნებაში“ (1945 და 1985), „მსოფლიო ახალგაზრდობის პრალის ფესტივალზე ქართული ბალეტის გამარჯვებული მსახიობები“ (1948); 1986 მხატვართა სახლის საგამოფენო დარბაზებში პირველად მოეწყო ქართ. თეატრის, მუს. და კინოს ისტ. ამსახველი სამუზეუმო მასალების ვრცელი რეტროსპექტული გამოფენა. იმართებოდა გამოფენები რესპ. გარეთ: „ქართული თეატრი“ (ბერლინი, 1971), „ქართული საბჭოთა თეატრის 50 წელი“ (სანქტ-პეტერბურგი, 1971), „პეტრე ოცხელის დეკორაციული ხელოვნება“ (სანქტ-პეტერბურგი, 1978), „ქართული საბჭოთა თეატრი“ (მოსკოვი, 1987); აგრეთვე პერიოდული გამოფენები: ნინო რამიშვილის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა, ქართ. დიასპორა, ნატო ვაჩნაძე

(2010), „დაბრუნებული ფერები, თურქეთი ქართულ ხელოვნებაში“ (2009) და სხვ.

მუზეუმი ახორციელებს საგანმან. პროგრამებს: „ქართული კინოხელოვნება“, „ქართული მულტიპლიკაცია“, „აფიშა და საზოგადოება“ (2009–10) და სხვ.

მუზეუმის ფილიალები: თბილისში – უ. ჩხეიძის (1955), ა. ხორავას (1976), ა. ვასაძის (1988) სახლ-მუზეუმები; ანაგაში – ს. ახმეტელის (1988), გურჯაანში – ნ. ვაჩნაძის (1981), დილოში – მ. ჭიაურელის (1982–96) კერძო სახლმუზეუმები.

მუზეუმის ბაზაზე მომზადდა ქართ. თეატრის, მუს. და კინოს ხელოვნების ქრონოლ. ცნობარი, ქართ. თეატრის ისტ. ნარკვევები (2 ტომი); საქართვე. მოქმედი თეატრების, მუს. და კინოდანესებულებების, აგრეთვე ხელოვნ. გამოჩენილი მოღვაწეების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული ნარკვევების კრებ. „საიუბილეო თარიღები“ (1986–89), „ხელოვნების კალენდარი“ (1990–96). 1996-იდან გამოდის ყოველწლიური საიუბილეო ცნობარები. მუზეუმმა მოამზადა 3 ტომად ნავარაუდები „ხელოვნების მათიანის“ (თეატრი, მუსიკა და კინო) I ტომი, აგრეთვე გამოფენების თანმხლები ბუკლეტები და ღია ბარათები (2009–10).

მუზეუმი განთავსებულია გრაფ კ. ოლდენბურგისა და პრინცესა ს. დადიანის მიერ 1895 აგებულ სასახლეში (ი. კარგარეთელის ქ. № 6). მისი ფართობია 1749 მ², მუდმივი ექსპოზიციისა – 100 მ², საცავებისა – 491 მ², რესტავრაციის სახელოსნოებისა – 60 მ².

მუზეუმს წლიურად ჰყავს საშუალოდ 5500 დამთვალიერებელი. მუზეუმის დირექტორები: დ. არსენიშვილი (1927–35); პ. პატარაია (1936); ლ. კანდელაკი (1935–37); ა. სტურუა (1938); ბ. ელიგულაშვილი (1938–39); გ. ბუხნიკაშვილი (1939–79); დ. ჯანელიძე (1979–85); ა. შალუტაშვილი (1985–2008); გ. კალანდია 2009-იდან დღემდე.

გ. კალანდია
